

1967/3.

პროლეტარიატო ყველა ქვეყანისა. შეერთდით!



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

ყველანის საბჭოს

ყ რ ე ბ ე ბ ი

№ 4 (315)

1967 წლის აპრილი

საქართველოს სსრ ყველანის საბჭოს გამომცემა

თბილისი



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის



უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 4 (315)

პერიოდი

1967 წელი

შ ი ნ ა რ ს ი

განყოფილება პირველი

10.408

- 280. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ დამსახურებული გეოლოგის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ.
- 281. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის შრომითი რესურსების გამოყენების განყოფილებისა და ადგილობრივი მრეწველობის, კინოფიკაციისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოების შექმნის შესახებ.
- 282. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ. (დებულება თან ერთვის).
- 283. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ზოგიერთი განყოფილების და სამმართველოს შექმნის შესახებ.
- 284. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შედეგების შესახებ.
- 285. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გარდაბნის რაიონის წყნეთის სასოფლო საბჭოს წყნეთის სადაბო საბჭოდ გარდაქმნის და თბილისის საქალაქო საბჭოს ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში მისი გადაცემის შესახებ.
- 286. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ასპინძის რაიონის ნაქალაქევის სასოფლო საბჭოდან სოფელ ხერთვისის გამოყოფისა და ტოლოშის სასოფლო საბჭოსათვის მისი მიკუთვნების შესახებ.
- 287. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მოზარდთა შრომის დაცვის კანონმდებლობის განხორციელების მდგომარეობის შესახებ ქუთაისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში.
- 288. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ.



289. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ რესპუბლიკური სამშენებლო სამინისტროების საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროებად გარდაქმნის შესახებ.

290. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებლის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული
კანონები და დადგენილებები**

(საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია)

- 291. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ.
- 292. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეების არჩევის შესახებ.
- 293. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის არჩევის შესახებ.
- 294. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი სამანდატო კომისიის მოხსენების გამო.
- 295. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეების მუდმივი კომისიის არჩევის შესახებ.
- 296. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა მუდმივი კომისიის არჩევის შესახებ.
- 297. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო მუდმივი კომისიის არჩევის შესახებ.
- 298. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობის მუდმივი კომისიის არჩევის შესახებ.
- 299. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის არჩევის შესახებ.
- 300. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბინაო მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის არჩევის შესახებ.
- 301. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიის არჩევის შესახებ.
- 302. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის არჩევის შესახებ.
- 303. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კულტურის მუდმივი კომისიის არჩევის შესახებ.
- 304. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის არჩევის შესახებ.
- 305. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივი კომისიის არჩევის შესახებ.
- 306. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის არჩევის შესახებ.

307. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვის მუდმივი კომისიის არჩევის შესახებ.
308. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, მრეწველობის, კულტურის, სახალხო განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიების დებულებათა დამტკიცების შესახებ. (დებულება თან ერთვის).
309. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, დეპუტატ გ. დ. ჯავახიშვილის განცხადების გამო.
310. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველოს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 56-ე მუხლში დამატების შეტანის თაობაზე.
311. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.
312. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის შრომითი რესურსების გამოყენების განყოფილებისა და ადგილობრივი მრეწველობის, კინოფიკაციისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 81-ე მუხლში დამატებების შეტანის თაობაზე.
313. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 72-ე მუხლში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.
314. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილების და დამატების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე.
315. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50-ე მუხლში დამატების შეტანის თაობაზე.
316. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ მინისტრებისა და სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეთა გათავისუფლებისა და დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე.
317. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის სადეპუტატო მოვალეობათა შესრულებასთან და-

კავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს სსრ 1938 წლის 10 ივლისის კანონის მე-3 მუხლის შეესების თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

- 318. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ზოგიერთი განყოფილების და სამმართველოს შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.
- 319. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 34-ე მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ.
- 320. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევის შესახებ.
- 321. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ მთავრობის — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შექმნის შესახებ.
- 322. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შექმნა.

ბანყოფილება მეორე

- 323. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ა.მ. ხ. დ. მაისაშვილისათვის საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
- 324. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო რუსული თეატრის მუშაკთათვის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.
- 325. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ მეორის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
- 326. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო რუსული თეატრის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ბანყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა.

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

280 „საქართველოს სსრ დამსახურებული გეოლოგის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ

1. დაწესდეს „საქართველოს სსრ დამსახურებული გეოლოგის“ საპატიო წოდება.

2. „საქართველოს სსრ დამსახურებული გეოლოგის“ საპატიო წოდება მიენიჭებათ უმაღლესი განათლების მქონე გეოლოგიური სამსახურის ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, რომლებმაც გეოლოგიის დარგში იმუშავეს არა ნაკლებ 20 წლისა და განსაკუთრებით გამოირჩევიან საწარმოო და საზოგადოებრივი მოღვაწეობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1967 წლის 1 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

281 სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის შრომითი რესურსების გამოყენების განყოფილებისა და აღვილოზრის მრეწველოზრის, კინოფიკაციისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოების შემოსის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. შეიქმნას სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის შრომითი რესურსების გამოყენების განყოფილება და ადგილობრივი მრეწველობის, კინოფიკაციისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოები.

2. ეს ბრძანებულება შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1967 წლის 3 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

282 არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დამტკიცდეს დებულება არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 27 მარტის ბრძანებულება „არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1962 წ., № 9, მუხ. 134), აგრეთვე არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 28 აპრილის და 1964 წლის 25 ნოემბრის ბრძანებულებები (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1963 წ. № 12 მუხ. 192 და 1964 წ. № 33 მუხ. 580).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძონდინძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვავაძე.

თბილისი. 1967 წლის 4 აპრილი.

დასამტკიცებელია

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის 1967 წლის 4 აპრილის

ბრძანებულებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების შესახებ

I. არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების ამოცანები და მათი
ორგანიზაციის წესი

მუხლი 1. არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების მთავარი ამოცანაა— წარმართონ მუშაობა არასრულწლოვანთა უმეტესადაც ურთობისა და მათ მიერ სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად, ბავშვთა და მოზარდთა სათანადოდ მოწყობისა და მათი უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად; მოახდინონ სახელმწიფო ორგანოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მიერ ამ მიზნით მიღებულ ღონისძიებათა კოორდინაცია. განიხილონ საქმეები არასრულწლოვანთა მიერ სამართალდარღვევის შესახებ. კონტროლი გაუწიონ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ დაწესებულებებში, აგრეთვე სპეციალურ აღმზრდელობით დაწესებულებებში არასრულწლოვანთა ცხოვრების პირობებს და მათ შორის აღმზრდელობით მუშაობის წარმოებას.

მუხლი 2. არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები იქმნება რაიონის, ქალაქის (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში) მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან.

როგორც გამონაკლისი, არასრულწლოვანთა საქმეების კომისია შეიძლება შეიქმნას რაიონის ცენტრიდან მნიშვნელოვნად დაშორებულ სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან. ამ კომისიათა შექმნის საკითხს წყვეტენ შესაბამისად სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმები, ხოლო იმ სოფლებსა და დაბებში, რომლებიც არ შედიან ავტონომიური ოლქის ან ავტონომიური რესპუბლიკების შემადგენლობაში, — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

არასრულწლოვანთა საქმეების სასოფლო და სადაბო კომისიებს აქვთ იგივე უფლება-მოვალეობანი, რაც არასრულწლოვანთა საქმეების რაიონულ, საქალაქო კომისიებს.

მუხლი 3. არასრულწლოვანთა საქმეების რაიონულ, საქალაქო და საოლქო კომისიებს ქმნიან მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო და საოლქო

საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტები და მათ შემადგენლობას ამტკიცებს შესაბამისი მშრომელთა დეპუტატების საბჭო მისი უფლებამოსილების ვადით.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებს ქმნიან ამ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ხოლო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ შესაბამის კომისიას — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. კომისიების შემადგენლობას ამტკიცებენ შესაბამისად, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმები თავიანთი უფლებამოსილების ვადით.

მუხლი 4. არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები მთელი თავიანთი საქმიანობისათვის პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული არიან შესაბამისი მშრომელთა დეპუტატების საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წინაშე. მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს შეუძლიათ შეცვალონ არასრულწლოვანთა საქმეების შესაბამისი კომისიების შემადგენლობა, რაც დასამტკიცებლად უნდა წარუდგინონ შესაბამის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ან, შესაბამისად, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმებს.

თავიანთი მუშაობის შესახებ კომისიები სისტემატურად აწოდებენ ინფორმაციას საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მშრომელთა კოლექტივებს.

მუხლი 5. არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების შემადგენლობაში შედიან: თავმჯდომარე (აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ან აღმასკომის მდივანი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე), თავმჯდომარის მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი და 6-12 წევრი.

კომისიის წევრთა რიცხვს სამუშაოს მოცულობის შესაბამისად განსაზღვრავს სათანადო მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, საქართველოს სსრ, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები.

კომისიის შემადგენლობაში შედიან საბჭოების დეპუტატები, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე სახალხო განათლების, პროფესიულ-ტექნიკური განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოების, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები.

მიმდინარე მუშაობისა და კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე კონტროლის განსახორციელებლად არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკურ, საქალაქო და რაიონულ კომისიებში წესდება თანამდებობა განთავისუფლებული პასუხისმგებელი მდივნისა, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში — აგრეთვე თანამდებობა ინსპექტორისა ბავშვებთან მუშაობის დარგში.

მუხლი 6. არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის მუშაობა უნდა განხორციელდეს საბჭოთა საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობით.

კომისიის მუშაობაში უნდა ჩაბმულ იქნენ პროფკავშირების საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების, კომკავშირის კომიტეტების, სკოლებთან არსებული მშობელთა კომიტეტების, საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების მზრუნველთა საბჭოების, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების, ქუჩისა და სახლის კომიტეტების და საზოგადოებრიობის სხვა წარმომადგენლები.

კომისიები მუშაობაში ჩაბმული აქტივიდან გამოყოფენ საზოგადოებრივ ინსპექტორებს და საზოგადოებრივ აღმზრდელებს არასრულწლოვანთა შორის მუშაობის ჩასატარებლად.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისია ურთიერთმოქმედებას ამყარებს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივ კომისიებთან ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლებიც მის კომპეტენციაში შედის.

მუხლი 7. არასრულწლოვანთა საქმეების კომისია იღებს გადაწყვეტილებებს მის კომპეტენციაში შემავალი საკითხების შესახებ და ეს გადაწყვეტილებები სავალდებულოა სახელმწიფო დაწესებულებებისათვის, საწარმოებისათვის, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის, თანამდებობის პირთათვის და მოქალაქეებისათვის.

სახელმწიფო დაწესებულებები, საწარმოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და თანამდებობის პირნი მოვალენი არიან ორი კვირის ვადაში აცნობონ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას იმ ზომების შესახებ, რომლებიც მათ მიიღეს კომისიის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

II. არასრულწლოვანთა უმეტვალყურეობისა და მათ მიერ სამართალდარღვევის თავიდან აცილება. არასრულწლოვანთა მოწყობა

მუხლი 8. არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული (საქალაქო) კომისიები შეიმუშავენ და სათანადო სახელმწიფო ორგანოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მეშვეობით ახორციელებენ ღონისძიებებს არასრულწლოვანთა უმეტვალყურეობის და მათ მიერ სამართალდარღვევის თავიდან აცილების, მათი მოწყობის, ბავშვთა და მოზარდთა კულტურული დასვენების ორგანიზების მიზნით; აგრეთვე კანონებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემისა და მათი დაცვის სულისკვეთებით არასრულწლოვანთა აღზრდაში დახმარების გაწევის მიზნით.

მუხლი 9. არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული (საქალაქო) კომისიები სახალხო განათლების, პროფესიულ-ტექნიკური განათლების, სოციალური უზრუნველყოფისა და მილიციის ორგანოებთან ერთად და საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობით, გამოავლენენ და აღრიცხვაზე აჰყავთ: ბავშვები და მოზარდები, რომლებსაც არ ჰყავთ მშობლები; არასრულწლოვანნი, რომლებსაც ჰყავთ მშობლები ან მათი შემცვლელი პირნი, მაგრამ ეს უკანასკნელნი ვერ უზრუნველყოფენ ბავშვთა აღზრდისათვის სათანადო პირობებს; მოზარდები, რომ-

ლებმაც მიატოვეს სკოლა და არ მუშაობენ, აგრეთვე სხვა არასრულწლოვანი, რომელთაც ესაჭიროებათ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დახმარების გაწევა; რაიონული (საქალაქო) კომისიები ზომებს იღებენ მათ მოსაწყობად.

კომისიის დადგენილებები, რომლებშიც მითითებულია არასრულწლოვანთა მოწყობის ფორმები, ეგზავნება:

განათლების სამინისტროს—საბავშვო სახლებში, გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვთა სკოლებში, ყრუ-მუნჯთა და უსინათლოთა სკოლებში და სხვა შესაბამის აღმზრდელობითს დაწესებულებებში არასრულწლოვანთა მოსაწყობად;

სახალხო განათლების განყოფილებებს და სხვა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს — ბავშვთა მოსაწყობად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და სკოლა-ინტერნატებში, აგრეთვე მშრომელთა ოჯახებში—მეურვეობის, მზრუნველობის, პატრონაჟის დასაწესებლად ან შეილად აყვანის მიზნით;

სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებს — არასრულწლოვანთა მოსაწყობად ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვთა სახლებში;

პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს — არასრულწლოვანთა მოსაწყობად პროფესიულ-ტექნიკური სწავლების დაწესებულებებში;

საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების ხელმძღვანელებს — სამუშაოზე მისაღებად.

მუხლი 10. არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული (საქალაქო) კომისიები კონტროლს უწევენ სამკურნალო-აღმზრდელობითს დაწესებულებებში, სკოლა-ინტერნატებში, სასკოლო ინტერნატებში, საბავშვო სახლებსა და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლო დაწესებულებებში ბავშვთა და მოზარდთა მოვლის საქმეს და აღზრდის პირობების დაცვას, ბავშვთა და მოზარდთა კულტურული დასვენების ორგანიზაციის საქმეს მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, კონტროლს უწევენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ან სხვა სასწავლო თუ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სპორტულ ორგანიზაციებში არასრულწლოვანებთან აღმზრდელობით მუშაობას.

მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში არასრულწლოვანის გადაყვანა ან გადასვლა, თუ მას არ დაუმთავრებია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის რვა კლასი, დასაშვებია მხოლოდ არასრულწლოვანთა საქმეების რაიონულ (საქალაქო) კომისიასთან შეთანხმებით. მუშა ან სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში არასრულწლოვანის გადაყვანის ან გადასვლის საკითხის გადაწყვეტისას არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული (საქალაქო) კომისია იღებს ზომებს მის სამუშაოზე მოსაწყობად.

არასრულწლოვანის გარიცხვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლიდან ან სხვა სასწავლო დაწესებულებიდან, აგრეთვე მშობლებსათვის ან მათ შემცვლელ პირთათვის მისი დაბრუნება მხოლოდ არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული (საქალაქო) კომისიის თანხმობით შეიძლება.

მუხლი 11. არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული (საქალაქო) კომისია კონტროლს უწევს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ადმინისტრაციის

რაციის მიერ კანონმდებლობის დაცვას არასრულწლოვანთა შრომის შესახებ, არასრულწლოვანთათვის აუცილებელი მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას და საწარმოო სწავლების და აღმზრდელითი მუშაობის სათანადოდ დაყენებას.

ადმინისტრაციის ინიციატივით განთავისუფლება 18 წელზე უმცროსი პირებისა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დატულია განთავისუფლების საერთო წესები და არსებობს არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული (საქალაქო) კომისიის თანხმობა. არასრულწლოვანის განთავისუფლებაზე ნებართვის გაცემის საკითხის განხილვა ხდება კომისიის სხდომაზე.

საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების ადმინისტრაცია მოვალეა არასრულწლოვანის მიერ სამუშაოდან საკუთარი სურვილით განთავისუფლების თაობაზე განცხადების შეტანის შესახებ ყველა შემთხვევაში სამი დღის ვადაში აცნობოს არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას, რათა კომისიამ კანონით დადგენილ ვადაში გაარკვიოს სამუშაოდან განთავისუფლების თაობაზე განცხადების შეტანის ნამდვილი მიზეზი და მიიღოს ზომები ძველ სამუშაოზე არასრულწლოვანის დასატოვებლად ან მის მოსაწყობად სხვა საწარმოში, ორგანიზაციაში თუ დაწესებულებაში.

მუხლი 12. არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული (საქალაქო) კომისია მუდმივ კონტროლს უწევს რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე არსებულ ბავშვთა და მოზარდთა სპეციალურ აღმზრდელითის დაწესებულებებში, არასრულწლოვანთა შრომითს კოლონიებში, მილიციის საბავშვო ოთახებსა და ბავშვთა მიმღებებში აღმზრდელითი მუშაობის მიმდინარეობას, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ-ტექნიკურ სწავლებას, მოვლა-პატრონობის პირობებსა და შრომის სწორ ორგანიზაციას, აგრეთვე ეხმარება ამ დაწესებულებებს აღნიშნული მუშაობის ჩატარებაში.

მუხლი 13. არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული (საქალაქო) კომისია, მილიციის საბავშვო ოთახებთან ერთად, მეთვალყურეობას უწევს იმ არასრულწლოვანთა ყოფაქცევას, რომელთა მიმართ გამოყენებული იყო აღმზრდელითი თუ ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიებანი, ან იყვნენ მსჯავრდებულნი თავისუფლების აღკვეთის გარეშე, ჰქონდათ პირობითი სასჯელი ან სასჯელის მოხდისაგან ვადამდე იყვნენ განთავისუფლებულნი; მეთვალყურეობას უწევს აგრეთვე აღმზრდელითი და სამკურნალო-აღმზრდელითი დაწესებულებებიდან ან არასრულწლოვანთა შრომითი კოლონიებიდან სასჯელის მოხდის შემდეგ დაბრუნებულ არასრულწლოვანთა ყოფაქცევას; ამასთან აწარმოებს მათ აღრიცხვას.

კომისია იღებს სათანადო ზომებს სამუშაოზე მათ მოსაწყობად ან სასწავლო დაწესებულებაში გასაგზავნად.

მუხლი 14. არასრულწლოვანთა საქმეების რაიონულ (საქალაქო) კომისიას უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს ბავშვთა და მოზარდთა მოვლა-პატრონობის და აღზრდის პირობები სკოლა-ინტერნატებში, სასკოლო ინტერნატებში, საბავშვო სახლებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, ბავშვთა და მოზარდთა სპეციალურ

აღმზრდელობით და სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებებში, არასრულწლოვანთა შრომითს კოლონიებში, მილიციის საბავშვო ოთახებსა და ბავშვთა მიმღებებში;

ბ) შეამოწმოს თუ როგორ არის დაყენებული აღმზრდელობითი მუშაობა ბავშვებთან და მოზარდებთან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სხვა სასწავლო დაწესებულებებში, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საბინაო-საექსპლუატაციო კანტორებში, სახლთმმართველობებში, აგრეთვე საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში;

გ) მოსთხოვოს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ადმინისტრაციას ცნობები, რომლებიც აუცილებელია კომისიის მუშაობისათვის;

დ) კომისიის სხდომაზე მოისმინოს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ადმინისტრაციის ინფორმაციები ბავშვთა და მოზარდთა მოვლა-პატრონობის და აღზრდის პირობებთან დაკავშირებულ საკითხებზე;

ე) აწარმოოს არასრულწლოვანთა პიროვნული მიღება, განიხილოს მათი საიჯრები და განცხადებები, გაეცნოს მათ პირად საქმეებს;

ვ) ჩააბას საზოგადოებრიობა არასრულწლოვანთა აღზრდა-გამოსწორების საქმეში და დანიშნოს საზოგადოებრივი აღმზრდელები;

ზ) შეიტანოს წარდგინებული სახელმწიფო დაწესებულებებში, საწარმოებში, და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში არასრულწლოვანთა სამუშაოზე მოწყობისა და სასწავლებლად გაგზავნის, მათთან აღმზრდელობითი მუშაობის და საწარმოო სწავლების საკითხებთან დაკავშირებით;

თ) აღძრას შუამდგომლობა პატიების შესახებ; სასამართლოში შეიტანოს წარდგინებული იმის თაობაზე, რომ არ იქნეს გამოყენებული სასჯელი ან გამოყენებულ იქნეს უფრო მსუბუქი სასჯელი თუ პირობითი მსჯავრი, აგრეთვე წარდგინებული არასრულწლოვანთათვის ნასამართლობის ვადამდე მოხსნის, სასჯელის მოხდისაგან არასრულწლოვანთა ვადამდე გათავისუფლების შესახებ. მაგრამ ამ შემთხვევაში დაცული უნდა იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების სათანადო მუხლებით გათვალისწინებული პირობები;

ი) შეიტანოს მშრომელთა დებუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად საკითხები, რომლებიც ეხება აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობას, საწარმოო სწავლებას, არასრულწლოვანთა შრომით მოწყობას და სასწავლებლად გაგზავნას, აგრეთვე საკითხები, რომლებიც შეეხება ამ მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში მითითებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საქმიანობას;

კ) შეიტანოს წარდგინებული მშრომელთა დებუტატების შესაბამისი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში, გამოყონ ადგილების გარკვეული რაოდენობა იმ არასრულწლოვანთა კონტინენტის შრომითი მოწყობის მთლიანად უზრუნველსაყოფად, რომლებზედაც მითითებულია ამ დებულების მე-9 და მე-13 მუხლებში, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ჯავშნის ანგარიშში და შემდგომ კონტროლი გაუწიოს მის შევსებას;

ლ) შეიტანოს წარდგინებანი საწარმოებში, კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში სასკოლო მშენებლობისათვის სახსრების გამოყოფის და საშეფო სკოლებისათვის საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ბიუჯეტისგარეშე ფონდის გამოყოფის შესახებ;

მ) დასვას საკითხი შესაბამისი ორგანოების ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინაშე, შესაბამისად, დისციპლინური სასჯელის ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების გამოყენების შესახებ იმ თანამდებობის პირთა მიმართ, რომლებიც არ შეასრულებენ კომისიის დადგენილებებს.

მუხლი 15. არასრულწლოვანთა საქმეების თბილისის საქალაქო (ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური, აფხაზეთის და აჭარის ასსრ) კომისიები:

შეიმუშავენ და სათანადო სახელმწიფო ორგანოების, საწარმოო-დაწესებულებების და სხვა ორგანიზაციების მეშვეობით ახორციელებენ ღონისძიებებს არასრულწლოვანთა უმეტესადაც ურთობისა და მათ მიერ სამართალდარღვევის თავიდან აცილების, ამ მოვლენათა გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის, ბავშვთა და მოზარდთა მოწყობისა და მათი უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად შესაბამისად ქალაქში, რაიონში, ავტონომიურ ოლქში, ავტონომიურ რესპუბლიკაში;

ამოწმებენ და წარმართავენ არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული (საქალაქო) კომისიების მუშაობას, ახდენენ მათი მუშაობის კოორდინაციას და უწყვენ მათ მეთოდურ დახმარებას, განაზოგადებენ და ავრცელებენ მათი მუშაობის დადებით გამოცდილებას;

ამოწმებენ რაიონული (საქალაქო) კომისიების დადგენილებებს სპეციალურ აღმზრდელობით დაწესებულებებში არასრულწლოვანთა გაგზავნის შესახებ და აუქმებენ ამ დადგენილებებს, თუ ისინი მიჩნეული იქნებიან უკანონოდ ან დაუსაბუთებლად და თუ ეს დადგენილებები არ არის გასაჩივრებული მშრომელთა დეპუტატების რაიონულ (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

აღნიშნულ მოვალეობათა შესრულებისას არასრულწლოვანთა საქმეების როგორც თბილისის საქალაქო, ისე ავტონომიური ოლქის აღმასრულებელ კომიტეტთან და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან არსებული კომისიები სარგებლობენ უფლებებით, რომლებიც გათვალისწინებულია ამ დებულების მე-14 მუხლში.

მუხლი 16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისია:

აერთიანებს და წარმართავს მთელს მუშაობას არასრულწლოვანთა უმეტესადაც ურთობისა და მათ მიერ სამართალდარღვევის ასაცილებლად, ამ მოვლენათა წარმომშობი მიზეზების აღმოსაფხვრელად, ბავშვთა და მოზარდთა სათანადოდ მოსაწყობად და მათი უფლებების დასაცავად;

ამოწმებს და კოორდინაციას უწყევს მშრომელთა დეპუტატების ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების, აგრეთვე არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული და საქალაქო კომისიების მუშაობას, უწყევს მათ მეთოდურ დახმარებას, განაზოგადებს და ავრცელებს მათი მუშაობის დადებით გამოცდილებას.

III. საქმეები, რომელთაც განიხილავს არასრულწლოვანთა საქმეების კომისია. ზემოქმედების ზომები და მათი გამოყენების წესი

მუხლი 17. არასრულწლოვანთა საქმეების რაიონულ (საქალაქო) კომისიას ევალება იმ არასრულწლოვანთა საქმეების განხილვა:

ა) რომელთაც 14 წლის ასაკამდე ჩაიდინეს საზოგადოებრივად საშიში მოქმედებანი;

ბ) რომელთაც 14-დან 16 წლამდე ჩაიდინეს ისეთი საზოგადოებრივად საშიში მოქმედებანი, რისთვისაც აღნიშნული ასაკის პირნი, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად, არ აგებენ პასუხს სისხლის სამართლის წესით;

გ) რომელთაც 14-დან 18 წლამდე ასაკში ჩაიდინეს დანაშაული, მაგრამ მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარი ეთქვათ, ან სისხლის სამართლის საქმე შეწყვეტილია იმ წესით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8 და მე-9¹ მუხლებით;

დ) რომელთაც 16 წლამდე ასაკში ჩაიდინეს წვრილმანი ხულიგნობა ან 18 წლამდე ასაკში — წვრილმანი სპეკულაცია და სხვა ადმინისტრაციული დარღვევები, რომელთა გამო პასუხისმგებლობა უშუალოდ გათვალისწინებულია სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის უმაღლეს ორგანოთა აქტებით, აგრეთვე ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებებით;

ე) რომელთაც ჩაიდინეს სხვა ანტისაზოგადოებრივი მოქმედებანი;

ვ) რომელნიც თავს არიდებენ სწავლას ან მუშაობას.

მუხლი 18. არასრულწლოვანთა საქმეების რაიონულ (საქალაქო) კომისიას, ამ დებულების მე-17 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, არასრულწლოვანთა მიმართ შეუძლია გამოიყენოს ზემოქმედების შემდეგი ზომები:

ა) დაავადებულოს საჯაროდ ან სხვა ფორმით ბოდიში მოუხადოს დაზარალებულს;

ბ) მისცეს გაფრთხილება;

გ) გამოუცხადოს საყვედური ან სასტიკი საყვედური;

დ) არასრულწლოვანს, რომელმაც მიაღწია 15 წლის ასაკს, თუ მას აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი და ზარალის თანხა 20 მანეთს არ აღემატება, დააკისროს მატერიალური ზარალის ანაზღაურება ან დაავადებულოს იგი თავისი შრომით ანაზღაუროს მიყენებული მატერიალური ზარალი, თუ იგი არ აღემატება 20 მანეთს;

ე) არასრულწლოვანს, რომელმაც მიაღწია 16 წლის ასაკს და თუ მას აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი, დააკისროს ჯარიმა იმ შემთხვევებში და იმ ოდენობით, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების და სახელმწიფო მმართველობის უმაღლეს ორგანოთა აქტებით ან მშრომელთა დებუტატების

ადგილობრივი საბჭოების და მათი აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებებით;

ვ) ზედამხედველობისათვის გადასცეს მშობლებს, ან მათ შემცვლელ პირებს, ან საზოგადოებრივ აღმზრდელებს, აგრეთვე მშრომელთა კოლექტივების ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების სამეთვალყურეოდ მათი თანხმობით;

ზ) გადასცეს თავდებობით მშრომელთა კოლექტივებს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ამ უკანასკნელთა შუამდგომლობით;

თ) გაგზავნოს სპეციალურ სამკურნალო-აღმზრდელი დაწესებულებაში;

ი) მოათავსოს შესაბამის, ბავშვებისა და მოზარდებისათვის განკუთვნილ სპეციალურ აღმზრდელი დაწესებულებაში (სპეციალური სკოლა, სპეციალური პროფტექნიკური სასწავლებელი) არასრულწლოვანი, რომელიც 11 წლის ასაკსა მიღწეული, თუ მან ჩაიდინა საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, ან თუ იგი ბოროტად და სისტემატურად არღვევს საზოგადოებრივი ქცევის წესებს, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას შეუძლია ზემოქმედების აღნიშნული ზომა დაადგინოს აგრეთვე პირობით ერთი წლის საგამოცდო ვადით.

მუხლი 19. არასრულწლოვანთა საქმეების რაიონულ (საქალაქო) კომისიის მშობლებისა და მათი შემცვლელი პირების მიმართ, იმ შემთხვევაში, თუ ისინი არასწორ დამოკიდებულებას იჩენენ ბავშვების მიმართ ან ბოროტად არიდებენ თავს თავიანთი მოვალეობების შესრულებას ბავშვთა აღზრდისა და სწავლების საქმეში, აგრეთვე არასრულწლოვანთა მიერ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით, შეუძლია გამოიყენოს ზემოქმედების შემდეგი ზომები:

ა) გამოუტანოს საზოგადოებრივი გაკიცხვა;

ბ) დააკისროს არასრულწლოვანის მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურება; თუ მიყენებული ზარალი 20 მანეთს არ აღემატება;

გ) დააკისროს ჯარიმა 30 მანეთამდე.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებს შეუძლიათ გადასცენ მშობლების ან მათი შემცვლელი პირების საქმე ამხანაგურ სასამართლოს. კომისიებს უფლება აქვთ წარდგინებანი შეიტანონ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში მშობლისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ, თუ დადგინდება, რომ იგი ბოროტად იყენებს ამ უფლებებს ან ბოროტად არიდებს თავს ბავშვის აღზრდაში თავისი მოვალეობების შესრულებას.

სპეციალურ აღმზრდელი დაწესებულებაში ან სპეციალურ სამკურნალო-აღმზრდელი დაწესებულებებში არასრულწლოვანთა გაგზავნა შეიძლება არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის გადაწყვეტილებით, მშობლების ან მათი შემცვლელი პირების თანხმობის გარეშე. სპეციალურ აღმზრდელი და სპეციალურ სამკურნალო-აღმზრდელი დაწესებულებებში არასრულწლოვანთა გაგზავნის საქმის განხილვაში აუცილებლად მონაწილეობს პროკურორი.

თუ არასრულწლოვანთა ჰყავთ მშობლები ან მათი შემცვლელი პირნი, საბავშვო სახლებში ან სკოლა-ინტერნატებში ამ უკანასკნელთა თანხმობის გარეშე მათი გაგზავნა შეიძლება მოხდეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში (თუ მშობლები ან მათი შემცვლელი პირნი ხანგრძლივად სხვაგან იმყოფებიან,



არიან დასწავლებულნი, მსჯავრდებული არიან ჩადენილი დანაშაულის გამო და ა. შ.). ამავე დროს კომისია იღებს გადაწყვეტილებას ბავშვის შენახვასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღურებლად მშობლებს კანონით დადგენილი წესით გადახდევინოს საჭირო თანხა. განსაკუთრებულ შემთხვევებში, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის შუამდგომლობით, გადასახდელის ოდენობა შეიძლება შემცირდეს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 20. არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას წარდგინებანი შეაქვს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებში ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებში იმ მშობლების ან მათი შემცვლელი პირების მიმართ ზემოქმედების ზომების გამოყენების შესახებ, რომლებიც არასწორად ეკიდებიან შვილების აღზრდას, აგრეთვე იმ პირთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ, რომლებიც ქმნიან ისეთ პირობებს, რომ ბავშვებმა და მოზარდებმა სამართალდარღვევა დაუშვან, ანდა აქეზებენ ან ცდილობენ აიყოლიონ ისინი დანაშაულის ან სხვა ანტისაზოგადოებრივი საქციელის ჩასადენად.

მუხლი 21. ამ დებულების მე-18 მუხლით გათვალისწინებულ ზემოქმედების ზომების გამოყენებისას, რაიონულმა (საქალაქო) კომისიამ უნდა გაითვალისწინოს სამართალდარღვევის ხასიათი და მიზეზები, არასრულწლოვანის ასაკი და ცხოვრების პირობები, სამართალდარღვევაში მისი მონაწილეობის ხარისხი, აგრეთვე მისი ყოფაქცევა ოჯახში, საზოგადოებაში, სკოლასა და სამუშაოზე.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის გადაწყვეტილება გაფრთხილების, საყვედურის ან სასტიკი საყვედურის გამოცხადების შესახებ მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. ზემოქმედების ზომა გაქარწყლებულად ითვლება, თუ არასრულწლოვანი, რომლის მიმართაც გამოყენებული იყო იგი, ამ ხნის განმავლობაში კვლავ არ ჩაიდენს სამართალდარღვევას. არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას, რომელმაც გამოიყენა ზემოქმედების ზომა, შეუძლია თავისი დადგენილებით გააუქმოს იგი ერთი წლის ვადის გასვლამდე, თუ არასრულწლოვანი, რომლის მიმართაც გამოყენებული იყო ზემოქმედების ზომა, სანიმუშო ყოფაქცევით გამოიჩინს თავს.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის დადგენილების მოქმედება მშობლებისათვის ან მათ შემცვლელ პირთათვის, ან საზოგადოებრივ აღმზრდელთათვის საზედამხედველოდ, ანდა მშრომელთა კოლექტივის, საზოგადოებრივი ორგანიზაციის სამეთვალყურეოდ არასრულწლოვანის გადაცემის შესახებ ნებისმიერ დროს შეუძლია შეწყვიტოს თვით კომისიას აღნიშნულ პირთა ან ორგანიზაციათა შუამდგომლობით, თუ არასრულწლოვანმა სანიმუშო ყოფაქცევით და მუშაობისა და სწავლისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით დაამტკიცა თავისი გამოსწორება.

იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანის მიმართ არჩეული აღმზრდელობითი ზემოქმედების ზომა უშედეგო აღმოჩნდა, კომისიას უფლება აქვს ასეთი არასრულწლოვანის მიმართ გამოიყენოს ამ დებულების მე-18 მუხლში მითითებული რომელიმე უფრო მკაცრი ზომა.

მუხლი 22. რაიონული (საქალაქო) კომისიის დადგენილება იმის შესახებ, რომ არასრულწლოვანმა ან მისმა მშობლებმა, ან ამ უკანასკნელთა შემცვლელმა

პირებმა აანაზღაურონ არასრულწლოვანის მიერ მიყენებული ზარალი, იმ შემთხვევაში, რაც გათვალისწინებულია ამ დებულების მე-18 და მე-19 მუხლებით, უნდა შეასრულოს სასამართლო აღმასრულებელმა.

იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანის მიერ მიყენებული მატერიალური ზარალი აღმატება 20 მანეთს, ზარალის ანაზღაურების საკითხი უნდა გადაწყდეს სასამართლოს წესით დაინტერესებულ ორგანიზაციათა ან მოქალაქეთა სარჩელის საფუძველზე.

მუხლი 23. არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული (საქალაქო) კომისიის გადაწყვეტილება დაჯარიმების შესახებ დაჯარიმებულმა პირმა უნდა შეასრულოს დადგენილების ჩაბარების 15 დღის განმავლობაში.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის მიერ დადებული ჯარიმა შეაქვთ იქნათა კავშირის სახბანკის განყოფილებაში, შემნახველ საღაროში ან კავშირგაბმულობის განყოფილებაში და დადგენილი წესით გადაირიცხება ბიუჯეტში.

იმ შემთხვევაში, თუ ჯარიმა გადახდილი არ იქნა 15 დღის ვადაში, კომისიის დადგენილება დაჯარიმების შესახებ გაიგზავნება დაჯარიმებულის სამუშაო ადგილზე, რათა ჯარიმის თანხა ხელფასიდან დაუკავონ მას უდავო წესით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მას ხელფასი არა აქვს—გაეგზავნება სასამართლო აღმასრულებელს ამ პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რათა გადახდევინება მოხდეს ქონებიდან.

მუხლი 24. არასრულწლოვანნი, რომლებიც ბავშვებისა და მოზარდებისათვის განკუთვნილ სპეციალურ აღმზრდელობით დაწესებულებებში იმყოფებიან, უნდა დარჩნენ იქ გამოსწორებამდე და შრომითი კვალიფიკაციის მიღებამდე. სპეციალურ დაწესებულებაში აღსაზრდელის ყოფნის დროის საერთო ხანგრძლივობა ყველა შემთხვევაში არ უნდა აღმატებოდეს 3 წელს, მაგრამ აღსაზრდელს შეიძლება ამ დაწესებულებაში დარჩენის ნება მიეცეს დაწესებული ვადის გასვლის შემდეგაც, თუ ეს აუცილებელია სასწავლო წლის დასამთავრებლად.

იმ შემთხვევაში, როდესაც ეს აუცილებელია აღზრდა-გამოსწორებისათვის და შრომითი კვალიფიკაციის მისაღებად ან სწავლის დასამთავრებლად, არასრულწლოვანთა საქმეების იმ რაიონის (ქალაქის) კომისიას, სადაც იმყოფება ეს დაწესებულება, შეუძლია სრულწლოვანებას მიღწეულ აღსაზრდელს გაუგრძელოს ამ დაწესებულებაში ყოფნის ვადა, მაგრამ ეს არ უნდა აღმატებოდეს ერთ წელს.

საკითხს იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია არასრულწლოვანის შემდგომი დატოვება ბავშვებისა და მოზარდებისათვის განკუთვნილ სპეციალურ აღმზრდელობით ან სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებაში, აღმზრდელობითი დაწესებულებების ადმინისტრაციის წარდგინების ანდა მშობლების ან მათი შემცველი პირების შუამდგომლობის საფუძველზე პერიოდულად, მაგრამ წელიწადში ერთხელ მაინც, თავისივე ინიციატივით განიხილავს არასრულწლოვანთა საქმეების იმ რაიონის (ქალაქის) კომისია, სადაც ეს დაწესებულება მდებარეობს.



მუხლი 25. არასრულწლოვანთა სპეციალურ აღმზრდელობით დაწესებულებებში არ შეიძლება გაიგზავნონ ყრუ-მუნჯები, უსინათლონი, სულით ავად-მყოფნი ან გონებასუსტი არასრულწლოვანები.

მუხლი 26. ბავშვთა და მოზარდთა სპეციალურ აღმზრდელობით ან სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებებში არასრულწლოვანის ყოფნა წყდება არასრულწლოვანთა საქმეების იმ რაიონის (ქალაქის) კომისიის გადაწყვეტილებით, სადაც მდებარეობს დასახელებული დაწესებულება; მიღებული გადაწყვეტილების შესახებ წინასწარ უნდა ეცნობოს არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას არასრულწლოვანის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით; კომისია მოვალეა ხელი შეუწყოს არასრულწლოვანის მოწყობას სამუშაოზე ან სასწავლებელში, აგრეთვე მისთვის აუცილებელი მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას.

თუ არასრულწლოვანი აღმზრდელობითი მიზნით გაგზავნილია საბავშვო სახლს ან სკოლა-ინტერნატში, მაშინ გადაწყვეტილებას საბავშვო სახლიდან ან სკოლა-ინტერნატიდან მისი გარიცხვის შესახებ იღებს იმ რაიონის (ქალაქის) კომისია, სადაც მდებარეობს საბავშვო სახლი ან სკოლა-ინტერნატი.

მუხლი 27. იმ შემთხვევებში, როდესაც სპეციალურ აღმზრდელობითი ან სამკურნალო-აღმზრდელობითი დაწესებულებიდან, საბავშვო სახლიდან, სკოლა-ინტერნატიდან გამოშვების შემდეგ აღსაზრდელი არ შეიძლება გაგზავნილ იქნეს მშობლებთან ან მათ შემცვლელ პირებთან იმის გამო, რომ ამ უკანასკნელთ კანონით დადგენილი წესით ჩამორთმეული აქვთ მშობლის ან მეურვის უფლება-ნი, აგრეთვე, თუ აღსაზრდელის წინანდელ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნება არ შეიძლება სხვა მიზეზების გამო (არ ჰყავს მშობლები ან მათი შემცვლელი პირები, არა აქვს სათანადო პირობები საყოფაცხოვრებო და შრომითი მოწყობისათვის და შემდგომი აღზრდისათვის), იმ რაიონის (ქალაქის) კომისია, სადაც ეს დაწესებულება მდებარეობს, მოვალეა მიიღოს ზომები არასრულწლოვანის საყოფაცხოვრებო პირობების უზრუნველსაყოფად, სასწავლებელში ან სამუშაოზე მის მოსაწყობად, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, დაუნიშნოს მას მეურვე ან საზოგადოებრივი აღმზრდელი.

ასეთივე მოვალეობა აკისრია არასრულწლოვანთა შრომითი კოლონიის მდებარეობის მიხედვით შესაბამის რაიონულ (საქალაქო) კომისიას ამ კოლონიიდან 18 წლის ასაკის მიღწევამდე განთავისუფლებულ პირთა მიმართ.

აღნიშნული საკითხების გადაწყვეტისას შესაბამის რაიონულ (საქალაქო) კომისიას ამ მუხლში ჩამოთვლილ ორგანიზაციათა მდებარეობის მიხედვით უნდა ექნეს იმ რაიონის (ქალაქის) არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის სათანადო დასკვნა, სადაც არასრულწლოვანი წინათ ცხოვრობდა ან ამჟამად იმყოფებოდა მისი მშობლები ან მათი შემცვლელი პირნი.

IV. არასრულწლოვანთა საქმეების კომისიაში საქმის მომზადება და განხილვა

მუხლი 28. არასრულწლოვანთა საქმეების კომისია განიხილავს საქმეებს:

ა) რომლებიც გადაცემულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8 და მე-9 მუხლებით გათვალისწინებული წესის მიხედვით;

ბ) მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების, მილიციის, სახალხო განათლების და პროფესიულ-ტექნიკური განათლების ორგანოების წარდგინებით;

გ) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, სკოლებთან არსებული მშობელთა კომიტეტების, საბინაო-საექსპლუატაციო კანტორებთან და სახლმმართველობებთან არსებული სახლის კომიტეტების და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარდგინებით;

დ) მოქალაქეთა განცხადებით;

ე) საკუთარი ინიციატივით;

არასრულწლოვანთა საქმეების კომისია საქმეებს განიხილავს არა უგვიანეს 15 დღისა მათი შემოსვლიდან.

მუხლი 29. არასრულწლოვანთა მიერ სამართალდარღვევის მასალებს, რომელთა განხილვა ევალება რაიონულ (საქალაქო) კომისიას, წინასწარ შეისწავლის კომისიის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე და იღებს გადაწყვეტილებას:

ა) საქმე განიხილოს კომისიის სხდომაზე;

ბ) აწარმოონ საქმის მასალების დამატებითი შემოწმება ან გამორკვევა, შემოსული განცხადებების, წარდგინებების მიხედვით;

გ) კომისიის სხდომაზე საქმის განხილვამდე მიიღონ ზემოქმედების ზომები არასრულწლოვანის მიმართ;

დ) საქმეები მცირე მნიშვნელობის სამართალდარღვევის შესახებ გადასცენ ამხანაგურ სასამართლოებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს არასრულწლოვანის სწავლის ან მუშაობის ადგილის მიხედვით, თუ ეს უზრუნველყოფს დამრღვევზე აღმზრდელობითი ზემოქმედების მოხდენას.

მუხლი 30. კომისიაში საქმის განხილვამდე არასრულწლოვანი შეიძლება გადაეცეს მშობლებს, ან მათ შემცვლელ პირებს სამეთვალყურეოდ, ხოლო არასრულწლოვანი, რომელიც საბავშვო დაწესებულებაში იზრდება, ზედამხედველობისათვის გადასცეს ამ დაწესებულების ადმინისტრაციას.

თუ მოზარდი, რომელიც 11-დან 14 წლამდე ასაკისაა, ჩაიდენს საზოგადოებრივად საშიშ მძიმე ქმედობას და თუ ამასთან დაკავშირებით აუცილებელია მისი დაუყოვნებლივ იზოლაცია, იგი შეიძლება მოთავსდეს ბავშვთა მიმღებში არაუმეტეს 15 დღის ვადით, კომისიის თავმჯდომარის ან მისი მოადგილის წერილობითი მითითების საფუძველზე.

თუ წარმოიშობა ეჭვი, რომ არასრულწლოვანი, რომლის საქმეც განიხილება, ფსიქიურად არასრულფასოვანია, იგი უნდა გაიგზავნოს სამედიცინო შემოწმებაზე.

მუხლი 31. საქმეების მომზადებისას და განხილვისას არასრულწლოვანთა საქმეების კომისიამ ზუსტად უნდა დაადგინოს არასრულწლოვანის ასაკი, საქმიანობა, ცხოვრებისა და აღზრდის პირობები, სამართალდარღვევის ფაქტი და მისი დამადასტურებელი მონაცემები, იყენენ თუ არა მოზარდული წამქეზებლები და სამართალდარღვევის სხვა მონაწილენი, არასრულწლოვანის მიმართ წინათაც იყო თუ არა გამოყენებული ზემოქმედების ზომები.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისია მოვალეა გამოავლინოს ის მიზეზები და პირობები, რაც ხელს უწყობდა არასრულწლოვანს სამართალდარღვევაში და მიიღოს ზომები მათ აღმოსაფხვრელად.

მუხლი 32. არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას შეუძლია გამოითხოვოს საჭირო დოკუმენტები და ცნობები, აგრეთვე გამოიძახოს თანამდებობის პირნი და მოქალაქენი, რათა მიიღოს ახსნა-განმარტება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელსაც კომისია განიხილავს.

თუ კომისიის მიერ გამოძახებული თანამდებობის პირნი და მოქალაქენი არ გამოცხადდებიან და, ამასთან, საპატიო მიზეზი არ ექნებათ, კომისიას შეუძლია გადადოს საქმის განხილვა და უზრუნველყოს მათი გამოცხადება საზოგადოებრივი ორგანიზაციების ან იმ დაწესებულების ადმინისტრაციის მეშვეობით, სადაც ისინი მუშაობენ ან სწავლობენ. იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი, რომლის საქმესაც განიხილავს კომისია, უარს იტყვის გამოცხადდეს კომისიის სხდომაზე და, ამასთან, საპატიო მიზეზი არ ექნება, ის შეიძლება მიყვანილ იქნეს მილიციის ორგანოების საშუალებით.

მუხლი 33. მას შემდეგ, რაც კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე ან კომისიის წევრი, რომელსაც ეს დავალებული აქვს, მიიჩნევს, რომ საქმე განსახილველად მომზადებულია, იგი არასრულწლოვანს, მის მშობლებს ან მათ შემცვლელ პირთ, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში, აღმზრდელობითი დაწესებულების წარმომადგენლებსაც, საქმის გარჩევამდე აცნობს ყველა მასალას, დაადგენს, თუ ვინ უნდა გამოიძახოს კომისიის სხდომაზე, ნიშნავს საქმის განხილვის დროსა და ადგილს.

იმის შესახებ, თუ როდის არის მოწვეული კომისიის სხდომა, უნდა ეცნობოს პროკურორს.

მუხლი 34. არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარი მაინც.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის სხდომაზე აუცილებლად უნდა დაესწროს არასრულწლოვანი, რომლის საქმეც ირჩევა, აგრეთვე მისი მშობლები ან მათი შემცვლელი პირები, ხოლო, თუ აუცილებელია, აღმზრდელობითი დაწესებულების წარმომადგენელიც.

არასრულწლოვანი მსჯავრდებულის სასჯელის მოხდამდე განთავისუფლების შესახებ შუამდგომლობის აღძვრის, დანიშნული სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის საკითხების და მსჯავრდებულთა მიმართ სხვა შუამდგომლობების განხილვისას, კომისიის სხდომას აუცილებლად უნდა ესწრებოდეს არასრულწლოვანთა შრომითი კოლონიის ადმინისტრაციის წარმომადგენელი და თვითონ მსჯავრდებული.

კომისიას უფლება აქვს სხდომიდან გაიყვანოს არასრულწლოვანი იმ ხნის განმავლობაში, როდესაც განიხილება გარემოებანი, რომელთა შესახებ მსჯელობას შეუძლია ცუდი გავლენა მოახდინოს მასზე.

მუხლი 35. არასრულწლოვანთა საქმეების კომისია განიხილავს მასალებს, რომლებიც შეკრებილია არასრულწლოვანის საქმესთან დაკავშირებით, მოცემენს არასრულწლოვანის, მისი მშობლების ან მათი შემცვლელი პირების, დაზარალებულის, მოწმეების განმარტებას და საქმის ყველა გარემოების ყოველმხრი-

ვი გარჩევის შემდეგ მიიღებს ერთ-ერთ ქვემოთ ჩამოთვლილ გადაწყვეტილებას:

1) გამოყენებულ იქნეს ამ დებულების მე-18 და მე-19 მუხლით ვათვალისწინებული შემოქმედების ერთ-ერთი ზომა;

2) შეწყდეს საქმე;

3) გადაიდოს საქმის განხილვა და ჩატარდეს დამატებითი შემოწმება;

4) საქმე გადაეცეს პროკურატურის ორგანოებს.

მუხლი 36. კომისიის სხდომაზე დგება ოქმი, რომელშიც უნდა ჩაიწეროს იმ პირის მიერ მიცემული განმარტებახი, რომლის საქმეც ირჩევა, დაზარალებულისა და მოწმეთა ჩვენებები, აგრეთვე საქმესთან დაკავშირებული სხვა მონაცემები.

ოქმს ხელს აწერს თავმჯდომარე და მდივანი.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას შეუძლია ჩაატაროს გამსვლელი სხდომა იმ პირის მუშაობის ან საცხოვრებელ ადგილას, რომლის საქმეც ირჩევა.

მუხლი 37. კომისიის გადაწყვეტილებათა მიღება ხდება სხდომის მონაწილე კომისიის წევრთა ხმის უბრალო უმრავლესობით.

კომისიის დადგენილება უნდა გაფორმდეს წერილობით და უნდა იყოს მოტივირებული. დადგენილებაში შემოქმედების ზომის შეფარდების შესახებ აღინიშნება დარღვევის არსი, მტკიცებულებები, რომლებიც საფუძვლად დაედო დადგენილების გამოტანას, და კომისიის მიერ განსაზღვრული შემოქმედების ზომა მისი შეფარდების მოტივების აღნიშვნით.

კომისიის დადგენილებას ხელს აწერენ თავმჯდომარე, მდივანი, კომისიის წევრები, რომლებიც საქმის განხილვაში მონაწილეობდნენ; დადგენილებას გამოაქვეყნებს თავმჯდომარე, მისი მიღებისთანავე.

კომისიის მიერ მიღებული დადგენილების შესახებ ეცნობება საზოგადოებრივ ორგანიზაციებს სამართალდარღვევი არასრულწლოვანის მუშაობის, სწავლის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, აგრეთვე მშობლების ან მათი შემცველი პირების მუშაობის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მუხლი 38. არასრულწლოვანთა მიერ სამართალდარღვევის იმ მიზეზების და პირობების შესწავლისა და აღმოფხვრის მიზნით, რომლებიც წარმოშობენ არასრულწლოვანთა დამნაშავეობას, არასრულწლოვანთა საქმეების კომისია აწარმოებს სამართალდარღვევის საქმეთა აღრიცხვას, რომლებიც სხდომებზე იყო განხილული, ყოველ კვარტალში განაზოგადებს ამ აღრიცხვის მონაცემებს რაიონებში, ქალაქებში, ავტონომიურ ოლქში, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში, საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე.

მუხლი 39. არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის დადგენილება შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს მშრომელთა დეპუტატების შესაბამის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, რომელიც საჩივარს განიხილავს 7 დღის ვადაში. აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება საბოლოოა.

კომისიის დადგენილება ჯარიმის დადების შესახებ შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს მისი ჩაბარებიდან ათი დღის განმავლობაში რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში დაჯარიმებულის საცხოვრებელ ადგილზე. აღნიშნულ ვადაში სასამართლოში საჩივრის შეტანა შეაჩერებს ჯარიმის გადახდევინებას.

მუხლი 40. არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული (საქალაქო) კომისიების მატერიალურ-ტექნიკური მომსახურება ეკისრებათ შესაბამისად მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
 პრეზიდიუმის მდივანი

ზ. კვამჩაძე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

283 თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის წევრების განყოფილების და საქართველოს უმაღლესი საბჭოს

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. შეიქმნას თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო, საორგანიზაციო-საინსტრუქტორო და შრომითი რესურსების გამოყენების განყოფილებები და შემდეგი სამმართველოები:

 ნის საარჩევნო ოლქისაგან.

შუშანა შვექეთის ასული ფუტყარაძე — დეპუტატი შუახევის რაიონის
 დღვანის საარჩევნო ოლქისაგან.

ნიკოლოზ სტეფანეს ძე ყოჩიაშვილი — დეპუტატი წითელწყაროს რაიო-
 ნის სასოფლო საარჩევნო ოლქისაგან.

დავით გიორგის ძე შარაშიძე — დეპუტატი მარნეულის რაიონის მარნეუ-
 ლის საარჩევნო ოლქისაგან.

ლამარა უშანგის ასული ჩხიკვაძე — დეპუტატი ჩოხატაურის რაიონის ჩო-
 ხატაურის საარჩევნო ოლქისაგან.

დალი ივანეს ასული წივწივაძე — დეპუტატი წულუკიძის რაიონის წულუ-
 კიძის საარჩევნო ოლქისაგან.

ივანე თეიმურაზის ძე ხაბულიანი — დეპუტატი ლენტეხის რაიონის ლენ-
 ტეხის საარჩევნო ოლქისაგან.

ფაცია ფილიპეს ასული ხოჯელანი — დეპუტატი მესტიის რაიონის მეს-
 ტიის საარჩევნო ოლქისაგან.

კონსტანტინე ერასტის ძე ჭამრულიძე — დეპუტატი ახმეტის რაიონის ზე-
 მო ალვანის საარჩევნო ოლქისაგან.

ავთანდილ სიმონის ძე ჭვარიძე — დეპუტატი ახალციხის რაიონის ვალეს საარჩევნო ოლქისაგან.

თბილისი, 1967 წლის 11 აპრილი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

308 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, მრეწველობის, კულტურის, სახალხო განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიების დავალებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, მრეწველობის, კულტურის, სახალხო განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიების დებულებები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძიწვინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ძაბაძეძე.

თბილისი, 1967 წლის 11 აპრილი.

დავალება მრეწველობის მუდმივი კომისიისა

მრეწველობის მუდმივი კომისია —

ა) ხელს უწყობს მრეწველობის ყველა დარგების განვითარებას, რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში შრომის ნაყოფიერების, ტექნიკური პროგრესის განუწყვეტლივ ზრდას, ახლად საშენებელი საწარმოების სწორ განლაგებას და ნედლეული რესურსების რაციონალურად გამოყენებას;

ბ) კონტროლს უწევს საწარმოებში გეგმებისა და დავალებათა დროულად შესრულებას, ამასთან, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტსა და ხარისხს;

გ) ღებულობს ზომებს ქარხნებსა და ფაბრიკებში ავტომატიზაციის დანერგვისათვის, საწარმოებში ძირითად და დამხმარე სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის განხორციელებისათვის, აგრეთვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებისა და უახლესი ტექნიკითა და მოწყობილობით შეიარაღებისათვის;

დ) სახავს ღონისძიებებს ადგილობრივი მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის, ფართო მოხმარების საქონლის წარმოების შემდგომი გაფართოებისა და ადგილობრივ საშენ მასალათა წარმოების გადიდებისათვის;

ე) პროფესიული კავშირის ორგანოებთან ერთად სწავლობს საწარმოებში რაციონალიზაციასა და გამომგონებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს, სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროების მუშაობას, განაზოგადებს და ავრცელებს მუშაობის მოწინავე გამოცდილებას;

ვ) შეისწავლის საწარმოებში მასიური და ცალკეული პროფესიის კადრების მომზადების მდგომარეობას, საწარმოო სწავლების საკითხებს, უსაფრთხოების ტექნიკის საკითხს, ზრუნავს საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის;

ზ) ყოველმხრივ დახმარებას უწევს სოციალისტური შეჯიბრების გაშლას სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებსა და მრეწველობის სხვადასხვა დარგებს შორის;

თ) თავის მუშაობაში ეყრდნობა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების შესაბამის მუდმივ კომისიებს, სპეციალისტებს და ფართო საზოგადოებრივ აქტივს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი

ზ. კვპაძე.

დებულება ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიისა

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისია —

ა) ხელს უწყობს რკინიგზის, წყლის და საჰაერო ტრანსპორტის, აგრეთვე საქალაქთაშორისო და შიდასაქალაქო საავტომობილო და ელექტრო ტრანსპორტის შემდგომ განვითარებას იმ ვარაუდით, რომ მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს სახალხო მეურნეობის და მოსახლეობის მოთხოვნილება ტრანსპორტზე;

ბ) კონტროლს უწევს საგზაო მშენებლობისათვის გამოყოფილი თანხების ათვისებას, მხარს უჭერს ქალაქებისა და სოფლების მშრომელთა ინიციატივას შრომითი მონაწილეობით გზების მშენებლობისა და შეკეთების საქმეში;

გ) პერიოდულად სწავლობს მგზავრთა მომსახურების მდგომარეობას რკინიგზის სადგურებში, საზღვაო პორტებში, აეროპორტებში, ავტოსადგურებში, გაჩერებებზე და მგზავრობის დროს; ლებულობს ყოველგვარ ზომებს მომსახურების გასაუმჯობესებლად;

დ) ხელს უწყობს კავშირგაბმულობის ყველა საშუალებათა განვითარებას, რაიონების, ქალაქების, სოფლების, დაბებისა და სხვა დასახლებული პუნქტების რადიოფიციურებას, ტელეხედვისა და ტელეფონიზაციის გაფართოებას. ლებულობს ზომებს საფოსტო დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესებისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს კორესპონდენციების დანიშნულებისამებრ და დროულად ჩაბარება;

ე) ამოწმებს სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის დარგებისათვის კადრების მომზადების მდგომარეობას, მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირო-

ბებს და სახავს ღონისძიებებს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

გ) ყოველმხრივ ხელს უწყობს სოციალისტური შეჯიბრების გაშლას ტრანსპორტის, საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის ობიექტთა კოლექტივებს შორის;

ზ) თავის მუშაობაში ეყრდნობა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების შესაბამის მუდმივ კომისიებს, სპეციალისტებსა და საზოგადოებრივ აქტივს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი

ზ. კვავაძე.

დებულება კულტურის მუდმივი კომისიისა

კულტურის მუდმივი კომისია —

ა) ხელს უწყობს მოსახლეობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას და კულტურული ღონის ამღობვას, ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების აღმოფხვრას და ახალი სოციალისტური ტრადიციების განვითარებას;

ბ) სწავლობს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა — კლუბების, მუზეუმების, სახალხო თეატრების, სახალხო უნივერსიტეტების, კულტურის სახლების, პარკების, სახელმწიფო თეატრებისა და კინოთეატრების მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხებს. ზრუნავს მათი ქსელის გაფართოებისათვის და ჩვენი კულტურის ყველა დარგის მიღწევების პროპაგანდისათვის, სახელმწიფოს მიერ აღრიცხული ისტორიული ძეგლების დაცვისათვის;

გ) ზომებს იღებს მოსახლეობის რადიო, კინო და სატელევიზიო მომსახურების გასაუმჯობესებლად, იდეურად და მხატვრულად მაღალხარისხოვანი კინოსურათების გამოსაშვებად, რადიო და ტელე გადაცემების პროგრამების გასაუმჯობესებლად;

დ) ხელს უწყობს წიგნების, გაზეთებისა და ჟურნალების გავრცელებას, წიგნების მაღაზიების და კიოსკების ქსელის გაფართოებას, მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების მუშაობის გაუმჯობესებას, მოსახლეობაში ლექციებისა და მოხსენებების ჩატარებას კომუნისტური აღზრდის სხვადასხვა თემებზე;

ე) შეისწავლის და განაზოგადებს თვითმოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების იმ გამოცდილებას, რომელიც ხელს უწყობს მოსახლეობაში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაუმჯობესების საქმეს;

ვ) ამოწმებს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მშენებლობის მიმდინარეობას, მისი სწორი დისლოკაციის საკითხებს და სახავს ღონისძიებებს არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

ზ) კომისია თავის მუშაობაში ეყრდნობა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების შესაბამის მუდმივ კომისიებს, სპეციალისტებს და ფართო საზოგადოებრივ აქტივს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი

ზ. კვამჩაძე.

დეპუტატთა სახალხო განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიისა

სახალხო განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისია —

ა) ხელს უწყობს ზოგადი, სპეციალური საშუალო და უმაღლესი განათლების შემდგომ განვითარებას რესპუბლიკაში. სწავლობს სკოლების, ინტერნატების და სხვა საბავშვო დაწესებულებათა ქსელის გაფართოების საკითხებს იმ ვარაუდით, რომ სწავლებაში ჩაებას სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი;

ბ) სწავლობს მეცნიერების განვითარების საკითხებს, შეიმუშავებს წინადადებებს სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესებისა და რესპუბლიკაში სამეცნიერო კადრების მომზადების უკეთ დაყენებისათვის;

გ) საჭირო ზომებს იღებს ზოგადსაგანმანათლებლო სპეციალურ სკოლებში, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო-აღმზრდელი მუშაობის დონის ასამაღლებლად;

დ) შეისწავლის დაუსწრებელი და საღამოს სწავლების მდგომარეობას უმაღლეს და საშუალო-სპეციალურ სასწავლებლებში, შეიმუშავებს ღონისძიებებს სწავლების დონის შემდგომი ამაღლების მიზნით;

ე) ზრუნავს სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებების კადრებით დაკომპლექტებისათვის; კონტროლს უწევს იმ სპეციალისტების განაწილებას, რომლებმაც დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებლები;

ვ) ხელს უწყობს სკოლის გარეშე დაწესებულებების (საბავშვო ტექნიკური სადგურების, პიონერთა სახლების, სასკოლო მუზეუმების, ბიბლიოთეკებისა და სხვა) მოწყობას და მათში აღმზრდელი მუშაობის სწორად დაყენებას;

ზ) ზრუნავს პედაგოგიური პერსონალის, განსაკუთრებით სოფლის მასწავლებლების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, მათი კვალიფიკაციისა და თეორიული დონის ამაღლებისათვის;

თ) შეიმუშავებს ბავშვთა უმეტადალყურებისა და უზედამხედველობის ლიკვიდაციის და არასრულწლოვანთა მიერ სამართალდარღვევის თავიდან აცილების ღონისძიებებს;

ი) შეისწავლის განათლებისა და მეცნიერების საქმიანობისათვის გამოყოფილი ფონდების, სახსრების და ასიგნობათა სწორად ხარჯვის მდგომარეობას;

კ) ამოწმებს სკოლების, სკოლამდელ და სამეცნიერო დაწესებულებათა შენობების მშენებლობისა და რემონტის მდგომარეობას და ზომებს იღებს გამოყოფილი თანხების ათვისებისათვის;

ლ) ზომებს იღებს სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების წიგნადი ფონდით, საჭირო ხელსაწყოებითა და დანადგარებით უზრუნველყოფისათვის;

მ) კომისია თავის მუშაობაში ეყრდნობა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სახალხო განათლების მუდმივ კომისიებს, სპეციალისტებს და საზოგადოებრივ აქტივს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი

ზ. კვავაძე.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

309 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, დავაშ-
ტაბ ზ. დ. ჯავახიშვილის განცხადების გამო

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
ადგენს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის განცხადება იმის შესახებ, რომ საქართველოს სსრ მთავრობამ მოიხსნა თავისი რწმუნებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს წინაშე.

მოწონებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმიანობა.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნოს ამხანაგი გივი დიმიტრის ძე ჯავახიშვილი და დაევალოს მას საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს წარუდგინოს წინადადებული საქართველოს სსრ მთავრობის შემადგენლობის შესახებ.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განაგრძოს თავის მოვალეობათა შესრულება, სანამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო შექმნის საქართველოს სსრ მთავრობას.

თბილისი, 1967 წლის 11 აპრილი.



კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

310 „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველო საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 56-ე მუხლში დამატების შეთანხმების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 14 იანვრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველოს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ“.

ამის შესაბამისად, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 56-ე მუხლში სიტყვების შემდეგ „კომუნალური მეურნეობის“ დაიწეროს სიტყვები „მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანჭავაძე.

თბილისი, 1967 წლის 11 აპრილი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

311 „არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების დგომის და დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 4 აპრილის ბრძანებულება „არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების დგომის და დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანჭავაძე.

თბილისი, 1967 წლის 11 აპრილი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

312 „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ფორმალთა დეკუბატაციის საბჭოს აღმასკომის შრომითი რესურსების გამოყენების განყოფილებისა და ადგილობრივი მრეწველობის, კინოფიკაციისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს შემდგომი შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 81-ე მუხლში დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 3 აპრილის ბრძანებულება „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეკუბატების საბჭოს აღმასკომის შრომითი რესურსების გამოყენების განყოფილებისა და ადგილობრივი მრეწველობის, კინოფიკაციისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოების შექმნის შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 81-ე მუხლში სიტყვების შემდეგ „სოციალური უზრუნველყოფისას“ დაიწეროს სიტყვები „შრომითი რესურსების გამოყენებისას“; სიტყვის შემდეგ „სამმართველოს“ დაიწეროს სიტყვები „ადგილობრივი მრეწველობისას; კინოფიკაციისას; მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისას“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ქოჭანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანჭავაძე.

თბილისი, 1967 წლის 11 აპრილი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

313 საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 72-ე მუხლში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები საქართველოს სსრ კონსტიტუციის 72-ე მუხლში და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგნაირად:

„მუხლი 72. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ქმნის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შემდეგი შემადგენლობით:

ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;

ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი

მოადგილე;



ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები;

მინისტრები;

სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე;

მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს უფროსი;

ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე;

ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე;

ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **წ. კვამბაძე**.

თბილისი. 1967 წლის 11 აპრილი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

314 საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილების და დამატების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამატების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1966 წლის 28 დეკემბრისა — „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 291-ე მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ“;

1967 წლის 16 თებერვლისა — „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში დამატებათა შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **წ. კვამბაძე**.

თბილისი, 1967 წლის 11 აპრილი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

315 „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ქირითადი კანონი) 50-ე მუხლში დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 30 იანვრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50-ე მუხლში სიტყვების შემდეგ „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე“ დაიწეროს სიტყვები „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი. 1967 წლის 11 აპრილი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

316 საქართველოს სსრ მინისტრებისა და სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეთა გათავისუფლებისა და დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1967 წლის 30 იანვრისა — ამხ. იოსებ სიმონის ძე ჩიავის საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ;

1967 წლის 21 თებერვლისა — ამხ. ვახტანგ ნესტორის ძე სორდიას საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ;

1967 წლის 30 იანვრისა — ამხ. სიმონ სევერიანეს ძე ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ;

1967 წლის 14 იანვრისა — ამხ. ფატუშა დავითის ასულ დუმბაძის საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1967 წლის 30 იანვრისა — ამხ. სიმონ სევერიანეს ძე ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1967 წლის 21 თებერვლისა — ამხ. მიხეილ ფილიპეს ძე ჩხეიძის საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1967 წლის 30 იანვრისა — ამხ. რობერტ გიორგის ძე ლეიაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამჩაძე.

თბილისი. 1967 წლის 11 აპრილი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

317 „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის სა-
დეპუტატო მივალეობათა უმცირესობისაგან დაკავშირებული
ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს სსრ 1938 წლის 10
ივლისის კანონის მე-3 მუხლის უმცირესობის თაობაზე“ საქართველოს
სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების
შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967
წლის 18 მარტის ბრძანებულება „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუ-
ტატებისათვის სადეპუტატო მოვალეობათა უმცირესობისაგან დაკავშირებული
ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს სსრ 1938 წლის 10 ივლისის
კანონის მე-3 მუხლის შეცვლის თაობაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამჩაძე.

თბ. ლისი. 1967 წლის 11 აპრილი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

318 „თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ზოგირითი განყოფილებისა და სამხარეთველოს შემდგომი უმსახვა“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აღგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 4 აპრილის ბრძანებულება „თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ზოგიერთი განყოფილებისა და სამხარეთველოს შემდგომი უმსახვა“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამაძე.

თბილისი. 1967 წლის 11 აპრილი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

319 საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 84-ე მუხლში ცვლილების შეტანის უსახვა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აღგენს:

დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში ირჩევენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თოთხმეტ წევრს.

ამის შესაბამისად შეტანილ ღენას ცვლილება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 34-ე მუხლში და ეს მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 84. საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭო ირჩევს საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს შემდეგი შემადგენლობით: საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის სამ მოადგილეს, მათ შორის ორს — ავტონომიური რესპუბლიკებისაგან, პრეზიდიუმის მდივანს და პრეზიდიუმის თოთხმეტ წევრს“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამაძე.

თბილისი. 1967 წლის 11 აპრილი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

320. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
ადგენს:

არჩეულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით:

**საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე**

გიორგი სამსონის ძე ძოწენიძე — დეპუტატი ქალაქ თბილისის მეღიქი-
შვილის საარჩევნო ოლქისაგან.

**საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები:**

მიხეილ მიხეილის ძე ლელაშვილი — დეპუტატი გურჯაანის რაიონის ვეჯი-
ნის საარჩევნო ოლქისაგან.

ბაგრატ ვასილის ძე შინკუბა — დეპუტატი აფხაზეთის ავტონომიური საბ-
ჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ქოჩარის საარჩევნო ოლქისაგან.

რევაზ მურადის ძე კომახიძე — დეპუტატი აჭარის ავტონომიური საბჭოთა
სოციალისტური რესპუბლიკის მახინჯაურის საარჩევნო ოლქისაგან.

**საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი**

ზინაიდა არსენის ასული კვაჭაძე — დეპუტატი ზესტაფონის რაიონის გორ-
კის საარჩევნო ოლქისაგან.

**საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის წევრები:**

გრიგოლ გრიგოლის ძე აბაშიძე — დეპუტატი ბათუმის რაიონის აჭარის-
წყლის საარჩევნო ოლქისაგან.

ბორის ზაქარიას ძე ბარსუკოვი — დეპუტატი ქალაქ თბილისის სამრეწვე-
ლო საარჩევნო ოლქისაგან.

ზნაურ ნიკოლოზის ძე გასიევი — დეპუტატი სამხრეთ ოსეთის ავტონომიუ-
რი ოლქის ზნაურის საარჩევნო ოლქისაგან.

ციალა ლეონტის ასული გელაშვილი — დეპუტატი ზესტაფონის რაიონის
ძირულის საარჩევნო ოლქისაგან.

მარიამ გიორგის ასული გვრიტიშვილი — დეპუტატი ქალაქ თბილისის ორ-
ჯონიკიძის საარჩევნო ოლქისაგან.

მიხეილ ალექსანდრეს ძე გოგიჩაიშვილი — დეპუტატი მცხეთის რაიონის მცხეთის საარჩევნო ოლქისაგან.

გივი იასეს ძე ზაუტაშვილი — დეპუტატი ყვარლის რაიონის ახალსოფლის საარჩევნო ოლქისაგან.

გივი ონისიმეს ძე მალაფერიძე — დეპუტატი ქალაქ რუსთავის მეტალურგთა საარჩევნო ოლქისაგან.

ვასილ პავლეს ძე შუაგანაძე — დეპუტატი ქალაქ თბილისის საქარხნო საარჩევნო ოლქისაგან.

სიმონ პეტროსის ძე პეტროსიანი — დეპუტატი ახალქალაქის რაიონის სასოფლო საარჩევნო ოლქისაგან.

ნოე პავლეს ძე შონია — დეპუტატი ცხაკაიას რაიონის ნოსირის საარჩევნო ოლქისაგან.

ვასილ ალექსანდრეს ძე ჩოფიკაშვილი — დეპუტატი ქალაქ თბილისის პისარევის საარჩევნო ოლქისაგან.

გიორგი ვასილის ძე წერეთელი — დეპუტატი ქალაქ თბილისის ძერქინსკის საარჩევნო ოლქისაგან.

უჩა ფოკას ძე ცქვიტინიძე — დეპუტატი ქალაქ ქუთაისის წერეთლის საარჩევნო ოლქისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძინუნიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ძაბაძე.

თბილისი. 1967 წლის 11 აპრილი.

დადგინილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

321 საქართველოს სსრ მთავრობის — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენის შემსახვ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

შეიქმნას საქართველოს სსრ მთავრობა — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — გივი დიმიტრის ძე ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე — გიორგი ირაკლის ძე ჩოგოვაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — ზაალ ბესარიონის ძე გელდიაშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — ნიკოლოზ გიორგის ძე გომელაური.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — არქიპო მირონის ძე ლაბახუა.



- საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტორია მოსეს ასული სირაძე.
- საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საეგემო კომიტეტის თავმჯდომარე — ერმალო მინას ძე ჯაფარიძე.
- საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი — ალექსანდრე ერასტის ძე მელაძე.
- საქართველოს სსრ განათლების მინისტრი — თამარ ვასილის ასული ლაშქარაშვილი.
- საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი — ვახტანგ ზაქარიას ძე თოხაძე.
- საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრი — კონსტანტინე ივანეს ძე ქავთარაძე.
- საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი — ვალერიან ივლიანეს ძე ვადაჭკორია.
- საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრი — ვახტანგ ალექსანდრეს ძე შაატაშვილი.
- საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი — ოთარ ვასილის ძე თაქთაქიშვილი.
- საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი — გიორგი სამსონის ძე ქობულია.
- საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი — ფატუშა დავითის ასული დუმბაძე.
- საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი — მიხეილ ფილიპეს ძე ჩხეიძე.
- საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი — გრიგოლ სილიბისტროს ძე ვაშაკიძე.
- საქართველოს სსრ საეკტომობილო ტრანსპორტის მინისტრი — თეიმურაზ ნიკოლოზის ძე დავითაშვილი.
- საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი — არჩილ ალექსანდრეს ძე გიგოშვილი.
- საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრი — ედუარდ ამბროსის ძე შვეარდნაძე.
- საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრი — შოთა მიხეილის ძე თათარაშვილი.
- საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი — სიმონ სევერიანეს ძე ლორთქიფანიძე.
- საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი — მიხეილ ბაგრატის ძე ღვინჯილია.
- საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი — მიხეილ ესტატეს ძე თოფურაძე.
- საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი — გიორგი ნიკოლოზის ძე ჯიბლაძე.

საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი — არჩილ ვარლამის ძე ჭირაქაძე.
 საქართველოს სსრ ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდის და ხისდამმუშავებელი
 მრეწველობის მინისტრი — ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ვარაზაშვილი.

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრი — ადოლფ
 ვარლამის ძე ხურაძე.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი — ლევან აბოს ძე
 საყვარელიძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
 კომიტეტის თავმჯდომარე — მამია ამბერკის ძე მეგრელიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კო-
 მიტეტის თავმჯდომარე — ვახტანგ დავითის ძე კუპრავა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო
 კომიტეტის თავმჯდომარე — ოთარ გიორგის ძე თუხარელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლე-
 ბის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე — მიხეილ თეოფანეს ძე ჩხლაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომათწყებლობისა და ტელევი-
 ზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე — კარლო კონსტანტინეს ძე გარ-
 დაფხაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კო-
 მიტეტის თავმჯდომარე — იოსებ ივანეს ძე ჩოღრიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე —
 მიტროფანე იონას ძე კუჭავა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშ-
 როების კომიტეტის თავმჯდომარე — ალექსი ნიკოლოზის ძე ინაური.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების
 სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე — რობერტ გიორგის ძე ლეიაშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის
 თავმჯდომარე — გივი შალვას ძე მიქელაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთა-
 ვარი სამმართველოს უფროსი — გიორგი ვლადიმერის ძე რობიტაშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და
 ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსი — დავით ნესტორის ძე
 ჩხეიძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგე-
 ბის მთავარი სამმართველოს უფროსი — მიხეილ გალაქტიონის ძე კოდუა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომ-
 ბინირებული საკვების მთავარი სამმართველოს უფროსი — მიხეილ ბახვას ძე
 ნარსია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანების „საქ-
 სოფლტექნიკის“ თავმჯდომარე — ივანე მიხეილის ძე ხოხლოვი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტა-
 ტისტიკური სამმართველოს უფროსი — გრიგოლ დავითის ძე შორეიკაშვილი.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში შედიან ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები, თანამდებობის მიხედვით:

აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — მიხეილ გერასიმეს ძე ჩიქოვანი.

აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — ლევან მიხეილის ძე დავითაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძონდინძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი. 1967 წლის 11 აპრილი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

322 საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი სახომარების მუშაობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გ. დ. ჯავახიშვილის მოხსენება „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესახებ“, აღნიშნავს, რომ უკანასკნელ დროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის პლენუმისა და სკკპ XXIII ყრილობის შემდეგ, მნიშვნელოვნად გააქტიურდა ადგილობრივი საბჭოების საქმიანობა; ისინი უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას. ადგილობრივი საბჭოები წარმატებით წყვეტენ მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასთან დაკავშირებულ ბევრ საკითხს. სისტემატურად უმჯობესდება საბჭოების აღმასკომებისა და მათი განყოფილებების მუშაობის სტილი და მეთოდები. ამ მუშაობაში ფართოდ არიან ჩაბმული დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი.

ბევრი აღმასკომი რეგულარულად აბარებს ანგარიშს საბჭოების სესიებს, მოსახლეობას, ზომებს იღებს ამომრჩეველთა განწყობების შესასრულებლად.

გასულ წელს აღმასკომების 98,9 პროცენტმა ანგარიში ჩააბარა შესაბამის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს სესიებს, ხოლო 89 პროცენტმა — მოსახლეობას. გაუმჯობესდა სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე განსახილველ საკითხთა მომზადების საქმე, რაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ დეპუტატები, მუდმივი კომისიები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა დიდი უმრავლესობა რეგულარულად აბარებს ანგარიშს ამომრჩეველებს.

ახორციელებენ რა პარტიის XXIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ადგილობრივი საბჭოები ეწვეიან დიდ ორგანიზატორულ მუშაობას და რაზმავენ ქალაქისა და სოფლის მშრომელებს კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის, რის შედეგადაც რესპუბლიკის მშრომელებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის, მეცნიერების, კულტურის განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლების საქმეში.

სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში შეიღწევის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის რესპუბლიკა დაჯილდოვდა მეორე ლენინის ორდენით, ხოლო სახალხო მეურნეობისა და კულტურის 11 ათასზე მეტი მუშაკი — ორდენებითა და მედლებით.

მაღალი ჯილდოებით აღფრთოვანებულმა რესპუბლიკის მშრომელებმა ახალი ძალით გააჩაღეს ბრძოლა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის.

მშრომელთა დეპუტატების მთელი რიგი რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოები დიდ მუშაობას ეწვეიან რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების კეთილმოსაწყობად. სკოლების, საავადმყოფოების, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის გასაფართოებლად, მოსახლეობის კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად.

ამასთან ერთად რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების მუშაობას ახასიათებს არსებითი ნაკლოვანებანი. მათი მუშაობის დონე ჯერ კიდევ ჩამორჩება ცხოვრების მოთხოვნილებებს, ისინი სრულად ვერ იყენებენ კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებს, სუსტად ახორციელებენ კონტროლს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოებისა და დაწესებულებების საქმიანობისადმი, ღრმად არ სწვდებიან საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის საკითხებს.

მთელი რიგი რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოს აღმასკომები ხშირად გვერდს უვლიან სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის, საკოლმეურნეო მიწის თვითნებური გამოყენების შემთხვევებს, ურიგდებიან მოქალაქეთა უფლებების შელახვის, სოციალისტური კანონიერების დარღვევის ფაქტებს.

სუსტად არის გაშლილი მუშაობა სახალხო განათლების, კულტურისა და მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დარგში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ცალკეულ რაიონებში არაღამაკმაყოფილებლად ხორციელდება კანონი საყოველთაო სავალდებულო სწავლების შესახებ. დმანისის, ახალქალაქის, კასპის და სხვა რაიონებში სკოლის ასაკის ბევრი ბავშვი სკოლის გარეთ არის დარჩენილი.



ყველგან როდი იჩენენ სათანადო მზრუნველობას სოფლის მასწავლებელთა და ექიმთა კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურებისადმი.

ზოგიერთი საქალაქო, რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭო სათანადო მზრუნველობას არ იჩენს სამკურნალო-პროფილაქტიკური მუშაობისა და დასახლებული პუნქტების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

საქალაქო, რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოები ჯეროვან დახმარებას არ უწყევენ სკოლების, საავადმყოფოების, საბავშვო დაწესებულებების მშენებლობას.

სასოფლო კლუბებისა და ბიბლიოთეკების მუშაობის დონე ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს. არადააკმაყოფილებლად მიმდინარეობს სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრების ათვისება (ქობულეთის, ზნაურის, ყაზბეგის, საჩხერის, ლენტეხისა და თიანეთის რაიონები).

ცოტა როდია ისეთი დასახლებული პუნქტი, სადაც ჯერ კიდევ ცუდად არის დაყენებული მოსახლეობის კინომომსახურება.

სუსტად არის გაშლილი სოფლად საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების ქსელი, საყოფაცხოვრებო მომსახურების 7.821 ობიექტიდან, რომლებიც რესპუბლიკაში არსებობს, სოფლის რაიონებში გახსნილია მხოლოდ 3.500 ობიექტი, რომელთა უმრავლესობა რაიონულ ცენტრებშია თავმოყრილი.

ზოგიერთი ადგილობრივი საბჭო ნაკლებ ყურადღებას აქცევს მოსახლეობის საეკონომიკური მომსახურების გაუმჯობესებას, მთელ რიგ ადგილებში არ არის აღმოფხვრილი მტაცებლობისა და გაფლანგვის შემთხვევები, დაბალია ვაჭრობის კულტურა.

ნელი ტემპით მიმდინარეობს იმ ნაკლოვანებათა გამოსწორება, რომლებსაც ადგილი აქვს საბინაო მშენებლობაში, კომუნალური საწარმოების, ქალაქის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ორგანოების მუშაობაში, ადგილობრივი გზების კეთილმოწყობის საქმეში. სრულად ვერ იყენებენ საყოფაცხოვრებო საგნებისა და ადგილობრივი საშენი მასალების წარმოების არსებულ შესაძლებლობებს.

მიღებული ზომების მიუხედავად, რესპუბლიკის ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში არ მცირდება დანაშაულობათა შემთხვევები, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში არასაკმაოდ არიან ჩაბმული დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებანი იმით აიხსნება, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის დაკავშირებული სამეურნეო და კულტურული მშენებლობის კონკრეტულ ამოცანათა გადაწყვეტასთან.

ზოგჯერ ირდევია სესიების მოწვევის კონსტიტუციური ვადა, ზოგიერთი დეპუტატი იშვიათად ხვდება თავის ამომრჩეველს.

ადგილობრივი საბჭოების სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე ხშირად ზერელედ განიხილავენ საკითხებს; ბევრგან მოუგვარებელია მიღებულ გადაწყ-

ყვეტილებათა შესრულების კონტროლი. აღმასკომები უნარიანად ვერ წარმართავენ მუდმივი კომისიების საქმიანობას, არ იჩენენ საჭირო მომთხოვნელობას დაქვემდებარებულ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებისადმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოებმა მთელი თავიანთი საქმიანობა წარმართონ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა და „მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საფუძველზე, გადაჭრით გააუმჯობესონ ორგანიზატორული მუშაობა, დარაზმონ მშრომელები ხუთწლედის დაეალებათა და იმ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის, რომლებიც იკისრეს საწარმოებმა, კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და მშენებლობებმა სახელოვანი იუბილეს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავის ღირსეულად აღნიშვნისათვის. ამ მიზნით:

1) ყოველმხრივ შეუწყონ ხელი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის (1965 წლის) პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, მიაღწიონ მიწებისა და სავარგულების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის უკეთ გამოყენებას, ახალი მიწების ათვისებას, ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის ამაღლებას, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წარმოების გეგმებისა და სახელმწიფოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას;

2) კონტროლი გაუწიონ სახელმწიფო დისციპლინის, საბჭოთა კანონმდებლობის, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების და მიწათსარგებლობის წესების დაცვას;

3) მეტი ყურადღება მიაქციონ ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას, გამოძებნონ ახალი რეზერვები სახალხო მოხმარების საქონლის, განსაკუთრებით ადგილობრივი საშენი მასალების წარმოების გასაღიძვრებად;

4) გააუმჯობესონ სკოლებისადმი ხელმძღვანელობა, უზრუნველყონ საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განუხრელი შესრულება, მიიღონ ქმედითი ზომები სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების მშენებლობის დასაჩქარებლად, მიაღწიონ მრავალცვლიანი მეცადინეობის ლიკვიდაციას.

მეტი ყურადღება მიაქციონ სოფლის მასწავლებელთა კომუნალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას;

5) მიიღონ ზომები მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის. არ შეასუსტონ ყურადღება სამამულო ომისა და შრომის ინვალიდებისა და აგრეთვე ომში დაღუპულთა ოჯახებისადმი. საზოგადოებრიობის მონაწილეობით სისტემატურად გააუმჯობესონ ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების სანიტარული მდგომარეობა. მოსახლეობაში განახორციელონ გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი, მიაღწიონ სოფლის ექიმებისა და საშუალო სამედიცინო პერსონალის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას;

6) უზრუნველყონ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის დონის ამაღლება და მოსახლეობის კინომომსახურების გაუმჯობესება. კულტურის კერების მუშაობა დაუმორჩილონ კომუნისმის მშენებელი საბჭოთა ადამიანისათვის მაღალი ზნეობრივი თვისებების ჩანერგვის ძირითად ამოცანას.

გააფართოონ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა და კინოთეატრების ქსელი, მხარი დაუჭირონ სახალხო თეატრების, კულტურის უნივერსიტეტების, საზოგადოებრივი ბიბლიოთეკების შექმნას და კულტურულ მშენებლობაში საზოგადოებრიობის მოზიდვის სხვა ფორმების შექმნის ინიციატივას. განახორციელონ ღონისძიებანი კულტურის ძეგლების დასაცავად;

7) მეტი ყურადღება მიაქციონ ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობას, საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საგზაო მშენებლობას, წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელის გაფართოებას, კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებას;

8) ფართოდ ჩააბან მშრომელთა მასები ბუნების ძეგლებისა და საკოლმეურნეო ტყეების დაცვის, ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლის, დასახლებული პუნქტებისა და გზების გამწვანების საქმეში;

9) ყოველწლიურად გააფართოონ სავაჭრო საწარმოებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების ქსელი, ყურადღება მიაქციონ საზოგადოებრივი კვების და სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებას;

10) მიიღონ საჭირო ზომები დამანაშავეობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის აღსაკვეთად; გააძლიერონ კონტროლი სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვისადმი; ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში ჩააბან საბჭოების მუდმივი კომისიები, დეპუტატები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და აქტივი;

11) გააუმჯობესონ ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა, მკაცრად დაიცვან სესიების მოწვევის ვადები, საბჭოების სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე განიხილონ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის აქტუალური საკითხები. სისტემატური კონტროლი გაუწიონ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობას;

მშრომელთა ფართო მასებთან საბჭოების მუშაობის კიდევ უფრო მტკიცედ დაკავშირებისათვის მოსახლეობის განსახილველად საზოგადოებრივ კრებებზე, სასოფლო ყრილობებზე გამოიტანონ ქალაქის, რაიონის, დაბის, სოფლის ცხოვრების მნიშვნელოვანი საკითხები და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შედეგების შესახებ პერიოდულად გაუკეთონ ინფორმაცია მოსახლეობას;

რეგულარულად აწარმოონ აღმასკომებისა და მათი განყოფილებების ანგარიშგება მოსახლეობის წინაშე, გააძლიერონ დეპუტატებისა და მუდმივი კომისიების მუშაობა, ზომები მიიღონ ამომრჩეველთა განაწესების შესასრულებლად, ფართოდ განავითარონ საზოგადოებრივი საწყისები საბჭოების საქმიანობაში.

II. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს იმ ამოცანების განხორციელებაში, რომლებიც მათ წინაშე დასახა სკკპ XXIII ყრილობამ.

III. გაზეთების რედაქციებმა, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის ორგანოებმა ფართო პროპაგანდა გაუწიონ საბჭოების მუშაობის დადებით გამოცდილებას და სისტემატურად გააშუქონ საბჭოთა მშენებლობის აქტუალური საკითხები.

IV. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ სისტემატური ყურადღება მიაქციოს ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას სახალხო მეურნეობის და კულტურის კონკრეტულ უბნებზე. სრულყოს მათი მუშაობის სტილი და მეთოდი. უზრუნველყოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მატერიალური ბაზის გაუმჯობესება.

V. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მეტი ყურადღება მიაქციოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობას, განაზოგადოს და გაავრცელოს ცალკეული საბჭოების მუშაობის დადებითი გამოცდილება; პერიოდულად მოაწყოს თათბირ-სემინარები მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების თავმჯდომარეებისა და მდივნებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ XXIII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული ადგილობრივი საბჭოები და მათი აღმასკომები მთელ ძალებს დარაზმავენ კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის და პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით ყველა ღონისძიებას განახორციელებენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძმწმწმწმწმ.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **წ. ძმწმწმწმ.**

თბილისი. 1967 წლის 12 აპრილი.



განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

323 ამხ. ს. დ. მაისაშვილისათვის საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის, შემოქმედებითი მოღვაწეობის ორმოცი წლისთავთან დაკავშირებით ამხ. სევერიან დავითის ძე მაისაშვილს მიენიჭოს საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამაძე.

თბილისი 1967 წლის 15 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

324 თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო რუსული თეატრის დაარსების ორმოცი წლისთავთან დაკავშირებით და თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის მიენიჭოს საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ სახალხო არტისტის:
ოლა იაკობის ასულ ბელენკოს — მსახიობს.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის:
ვლადიმერ ნაუმის ძე ვოლგუსტს — რეჟისორს.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის:

კონსტანტინე პეტრეს ძე ეფიმოვს — მსახიობს.
ლიუდვიგ ვლადისლავის ძე ზაკრუევესკის — მსახიობს.
ლარისა სიმონის ასულ კუბარევას — მსახიობს.
იაკობ მოსეს ძე მიხაილოვს — მსახიობს.

საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის:

ვასილ (გივი) ნიკოლოზის ძე ცერაძეს — თეატრის მთავარ მხატვარს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამაძე.

თბილისი. 1967 წლის 25 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

325 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ მეორის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშვიდობის განმტკიცებისა და დაცვის საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი — ეფრემ მეორე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძიწინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვახაძე.

თბილისი. 1967 წლის 15 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

326 თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო რუსული თეატრის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო რუსული თეატრის დაარსების ორმოცი წლისთავთან დაკავშირებით და თეატრალური ხელოვნების დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

ივანე სერგოს ძე გვინჩიძე — თეატრის დირექტორი.

იური ნიკოლოზის ძე გრეკულოვი — მთავარი აღმინისტრატორი.

ბარბაღე სტეფანეს ასული ვართანოვი — უფროსი ბუხვალტერი.

ლია აბრამის ასული სანდღერი — დასის გამგე.

ირინა ვალერიანის ასული შტენბერგი — მხატვარი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძიწინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვახაძე.

თბილისი. 1967 წლის 25 აპრილი.

ბანუოვილება მისამი

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1967 წლის 13 აპრილის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენითა და „დედობის მედლით“ დააჯილდოვა 399 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

1. თბილისიდან	—	33
2. ამბროლაურის რაიონიდან	—	7
3. ახალქალაქის	—	26
4. ახმეტის	—	17
5. გარდაბნის	—	114
6. გურჯაანის	—	2
7. დუშეთის	—	6
8. ზუგდიდის	—	9
9. თელავის	—	8
10. მარნეულის	—	83
11. მესტიის	—	11
12. მცხეთის	—	8
13. საგარეჯოს	—	32
14. ლავოდენის	—	15
15. ქარელის	—	13
16. ყაზბეგის	—	2
17. ჩოხატაურის	—	3
18. ხობის	—	8